ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1939 წ. ივნისის 15 № 14 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

58. ხანძრის საწინააღმდეგო დაცვის დარგში საზოგადოებრივი ორგანიზაციების განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ საწარმოებში მოხალისეთა სახანძრო რაზმის შესახებ.

დროებითი დებულება საქართველოს სსრ სასოფლო სექტორის დასახლებული პუნქტების და კოლმეურნეობების სახანძრო დაცვის შესახებ.

დროებითი დებულება საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მოხალისეთა სახანძრო რაზმის შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ საცხოვრებელ სახლებში, საერთო საცხოვრებლებში და სხვა სახლთმფლობელობებში სახანძრო დაცვის ხელშემწყობი მოხალისეთა უჯრედების და სახანძრო დაცვის რწმუნებულთა შესახებ.

წესები ხანძრის საწინააღმდეგო უშიშროებისა საცხოვრებელ სახლებში, საერთო საცხოვრებლებში და სხვა სახლთმფლობელობებში.

Филиал
Библиотека
ВКП (б)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება.

58. ხანძრის საწინააღმდეგო დაცვის დარგში საზოგადოებრივი ორგანიზაციების განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.

ხანძრისაგან სოციალისტური საკუთრების და მოქალაქეთა პირადი ქონების დაცვის საქმეში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის მიზნით, მოსახლეობიდან ხანძრის საწინააღმდეგო საბრძოლო ფორმირებათა შექმნის, სათანადო მომზადებისა და აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახანძრო პროფილაქტიური მუშაობის გაძლიერების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებული იქნას საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი:

ა) დებულება საქართველოს სსრ საწარმოებში მოხალისეთა სახანძრო რაზმის შესახებ;

ბ) დროებითი დებულება საქართველოს სსრ სასოფლო სექტორის დასახლებული ადგილების და კოლმეურნეობების სახანძრო დაცვის შესახებ;

გ) დროებითი დებულება საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მოხალისეთა სახანძრო რაზმის შესახებ;

დ) დებულება საქართველოს სსრ საცხოვრებელ სახლებში, საერთო საცხოვრებლებში და სხვა სახლთმფლობელობებში სახანძრო დაცვის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი უჯრედებისა და სახანძრო დაცვის რწმუნებულთა შესახებ;

ე) საქართველოს სსრ საცხოვრებელ სახლებში, საერთო საცხოვრებლებში და სხვა სახლთმფლობელობებში ხანძრის საწინააღმდეგო უშიშროების წესები.

დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს და დაამტკიცოს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის წიგნის ფორმა.

2. წინადადება მიეცეს ყველა საწარმოს ხელმძღვანელს, სახლის მმართველს, შენობებისა და საერთო საცხოვრებლების კომენდანტებს ერთი თვის ვადაში, 1-ლ მუხლში ნახსენები დებულების შესაბამისად, გარდაქმნან მოხალისეთა არსებული სახანძრო რაზმები, შექმნან ახალი რაზმები და სახანძრო დაცვის ხელშემწყობი უჯრედები, აგრეთვე განახორციელონ მათი საქმიანობის ხელმძღვანელობა.

3. საწარმოებში მოხალისეთა სახანძრო რაზმების უფროსთა და რაზმების წევრთა მომზადების ორგანიზაცია დაეკისროს საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ დაწესებულებებს (საკავშირო სახალხო კომისარიატების საწარმოებში — უშუალოდ საწარმოთა დირექტორებს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. სახანძრო დაცვის ხელშემწყობი უჯრედების მდივნების და წევრების, აგრეთვე საქართველოს სსრ საცხოვრებელ სახლებში, საერთო საცხოვრებლებში და სხვა სახლთმფლობელობებში სახანძრო დაცვის რწმუნებულების მომზადების ორგანიზაცია დაეკისროს საქალაქო საბჭოებს და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს (კომუნალური ორგანოების ხაზით) საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს საერთო ხელმძღვანელობით.

5. დაევალოს სახელმწიფო საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, საცხოვრებელი სახლების და საერთო საცხოვრებლების მმართველებს და შენობების კომენდანტებს, აგრეთვე ცალკეულ სახლთმფლობელებს — უზრუნველჰყონ სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის წიგნების შეძენა და სათანადო შენახვა, ამოიღონ ხმარებიდან სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ის წიგნები და ჟურნალები და საცხოვრებელ სახლებში სახანძრო დაცვის ხელშემწყობი უჯრედების დებულებანი, რომლებიც გამოცემულია 1939 წლამდე.

6. წინადადება მიეცეს „სახელგამს“ ოქტომბრის დამლევამდე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახანძრო დაცვის განყოფილების ხარჯზე — გამოსცეს:

ა) დებულება საქართველოს სსრ საწარმოებში მოხალისეთა სახანძრო რაზმის შესახებ — ქართულ და რუსულ ენებზე 2.000 ეგზემპლარად თითოეული;

ბ) დროებითი დებულება საქართველოს სსრ სასოფლო სექტორის დასახლებული პუნქტების და კოლმეურნეობების სახანძრო დაცვის შესახებ — ქართულ ენაზე 3.500 ეკზემპლიარად, რუსულზე — 1.500 ეგზემპლიარად.

გ) დებულება საქართველოს სსრ საცხოვრებელ სახლებში, საერთო საცხოვრებლებში და სხვა სახლთმფლობელობებში სახანძრო დაცვის მოხალისეთა ხელშემწყობი უჯრედებისა და სახანძრო დაცვის რწმუნებულთა შესახებ — ქართულ და რუსულ ენებზე 20.000 ეგზემპლიარი, და სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის წიგნი 40.000 ეგზემპლიარი;

დ) ათი სხვადასხვა სახანძრო ფურცელი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახანძრო დაცვის განყოფილების მითითებით — 3.000 ეგზემპლიარად თითოეული.

ე) ხანძრის საწინააღმდეგო უშიშროების წესები საცხოვრებელ სახლებში, საერთო საცხოვრებლებში და სხვა სახლთმფლობელობებში — ქართულ და რუსულ ენებზე — 25.000 ეგზემპლიარად.

7. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს უზრუნველყოს ხანძრის საწინააღმდეგო უშიშროების წესებით ყველა საცხოვრებელი სახლები და მუდმივად ანხორციელებდეს მათი შესრულების კანტროლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას გამოუყოს „სახელგამს“ ტონა ნახევარი ქაღალდი.

9. დაეკისროს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებს კონტროლი გაუწიონ საწარმოებში და კოლძეურნეობებში მოხალისეთა სახანძრო რაზმების აგრეთვე საქართველოს სსრ საცხოვრებელ სახლებში, საერთო საცხოვრებლებში და სხვა სახლთმფლობელობებში სახანძრო დაცვის ხელშემწყობი უჯრედებისა და სახანძრო დაცვის რწმუნებულთა საქმიანობას და ამ დადგენილების შესრულებას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. მაისის 22. № 930.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ საწარმოებში მოხალისეთა სახანძრო რაზმის შესახებ.

I. ზოგადი დებულება.

1. ქარხნებში, ფაბრიკებში, საწყობებსა და სხვა საწარმოებში ხანძრისაგან მათი დაცვისათვის, გარდა არსებული საუწყებო სახანძრო დაცვისა, შეიძლება ჩამოყალიბდეს მოხალისეთა სახანძრო რაზმები (მ. ს. რ.) ამ საწარმოს მუშებისა, ინჟენერ-ტექნიკოსი მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

2. თუ რამდენიმე საწარმო მდებარეობს საერთო ტერიტორიაზე შეიძლება შეიქმნას მოხალისეთა გაერთიანებული სახანძრო რაზმი საწარმოთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

3. იმ საწარმოებში, სადაც არიან სახანძრო დაცვის უფროსები, სახანძრო რაზმების უფროსები, სახანძრო ინსტრუქტორები ან სახანძრო საგუშაგო დაცვის უფროსები, მ. ს. რ. ხელმძღვანელობა ეკისრება უშუალოდ მათ დამატებითი ანაზღაურების მიუცემლად, ასეთ საწარმოებში აღნიშნულ პირებს რაზმების უფროსებად ნიშნავენ ამ საწარმოთა ხელმძღვანელები.

4. საწარმოს ხანძრის საწინააღმდეგო მდგომარეობისათვის, რაზმის ჩამოყალიბებისა და სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოთა მითითებების თავის დროზე შესრულებისათვის პასუხს აგებს საწარმოს ხელმძღვანელი, სახანძრო რაზმის მომზადებისა და წესიერ მდგომარეობაში სახანძრო მოწყობილობის შენახვისათვის პასუხს აგებს მ. ს. რ. უფროსი.

5. რაზმის უფროსი ყოველმხრივ ემორჩილება საწარმოს ხელმძღვანელს.

II. მოხალისეთა სახანძრო რაზმის ამოცანები.

6. რაზმის ამოცანებს შეადგენს:

ა) თვალყურის დევნება ყველა ხანძრის საწინააღმდეგო წესებისა და სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მოთხოვნათა დროულად შესრულებისათვის, აგრეთვე ხანძრების და ცეცხლის გაჩენის ლიკვიდაცია საწარმოში და დასაცავ საწარმოს ტერიტორიაზე;

ბ) თვალყურის დევნება იმისათვის, რომ საწარმო უზრუნველყოფილი იყოს ხანძრის ქრობის საშუალებებით (წყალმომარაგება, სახანძრო მოწყობილობა) თვალის დევნება მათი წესიერად შენახვისა და სამოქმედოდ მზადყოფნისათვის;

გ) ხანძრის საწინააღმდეგო პროპაგანდის ორგანიზაცია და ჩატარება საწარმოებში;

დ) ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა ორგანიზაცია და ჩატარება საწარმოს საჰაერო და ქიმიური თავდაცვის პირობებში;

ე) მორიგეობა საწარმოთა სახანძრო საგუშაგოებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. რაზმის ჩამოყალიბების წესი.

7. მოხალისეთა სახანძრო რაზმის რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს საწარმოს ხელმძღვანელი.

8. მოხალისეთა სახანძრო რაზმის წევრები შეიძლება იყვნენ ამ საწარმოს მუშები, ინჟენერ-ტექნიკოსი მუშაკები და მოსამსახურეები, რომელთაც შეუსრულდათ 18 წელი.

9. ყველამ, ვისაც სურს მოხალისეთა სახანძრო რაზმის წევრობა რაზმის უფროსის სახელზე უნდა შეიტანოს წერილობითი განცხადება და ხელწერილი, რომ იმუშავებს რაზმში ერთ წელიწადს მაინც.

10. იმ პირს, რომელიც განცხადებას შეიტანს, სახანძრო რაზმის წევრად მიიღებს რაზმის საერთო კრება და საბოლოოდ დაამტკიცებს საწარმოს ხელმძღვანელი რაზმის უფროსის წარდგენით.

11. რაზმის შემადგენლობა და შემდგომი ცვლილებანი მის პირად შემადგენლობაში გამოცხადდება საწარმოსადმი გამოცემულ ბრძანებაში.

12. საწარმოს ხელმძღვანელი ვალდებულია საწარმოში ჩამოყალიბებული მოხალისეთა სახანძრო რაზმი 3 დღის ვადაში ვაატაროს რეგისტრაციაში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახანძრო დაცვის ადგილობრივ ორგანოში ამასთან აღინიშნოს:

ა) რაზმის რიცხობრივი შემადგენლობა;

ბ) რაზმის უფროსისა და თანაშემწეების გვარი, სახელი და მამის სახელი;

გ) სახანძრო მოწყობილობა, რომლითაც შეიარაღებულია რაზმი.

13. რაზმიდან გამოსვლა სწარმოებს რაზმის წევრის სურვილით. ამის შესახებ ოგი შეიტანს განცხადებას რაზმის უფროსის სახელზე წასვლამდე 6 თვით ადრე.

შენიშვნა: მე-9 და მე-13 პუნქტები მ. ს. რ. მოხალისეების რაზმზე მიმაგრების შესახებ, არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც მოხალისე მიდის საწარმოდან.

IV. რაზმის სამსახურის ორგანიზაცია.

14. რაზმის წევრები ნაწილდებიან საწარმოს სამუშაო ცვლებად ისე, რომ თითოეულ ცვლაში იყოს რაზმელთა საკმაო რაოდენობა გამაფრთხილებელი ხანძრის საწინააღმდეგო მუშაობისა და საწარმოში არსებული საშუალებებით ხანძრის ქრობის ორგანიზაციის დარგში სამსახურის გასაწევად.

15. საწარმოებში დაწესდება რაზმის წევრების მორიგეობა არა სამუშაო დროს, იმ რაოდენობით, რომელიც უზრუნველჰყოფს საწარმოში სახანძრო ზედამხედველობას და სახანძრო დახმარების დროულად გამოძახებას.

16. საქალაქო სახანძრო რაზმის მოსვლამდე ხანძრის ქრობის ხელმძღვანელობას ანხორციელებს რაზმის უფროსი, საქალაქო სახანძრო რაზმის მოსვლის შემდეგ ხელმძღვანელობა გადაეცემა მოსულ სახანძრო საქალაქო დაცვის თანამდებობით მაღლა მდგომ უფროსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. საწარმოს ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო და საშიშ ობიექტებისათვის რაზმის უფროსი ადგენს ხანძრის ქრობის ოპერატიულ გეგმებს, რომლებსაც ათანხმებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახანძრო დაცვის ადგილობრივ ორგანოებთან და რასაც დაამტკიცებს საწარმოოს ხელმძღვანელი.

18. რაზმელებთან სასწავლო მეცადინეობა სწარმოებს მუშაობისაგან თავისუფალ დროს, თანახმად განრიგისა, რომელიც გამოცხადებულია საწარმოოს ხელმძღვანელის ბრძანებით და შედგენილი უნდა იქნას სამრეწველო საწარმოთა მ. ს. რ. მომზადების სახელმძღვანელოს შესაბამისად.

V. მოხალისეთა სახანძრო რაზმის უფროსის მოვალეობანი.

19. რაზმის უფროსი ვალდებულია:

ა) მოამზადოს რაზმის წევრები დასაცავ საწარმოში ცეცხლის გაჩენის წინააღმდეგ გამაფრთხილებელი ზომების მიღებისათვის, ხოლო ცეცხლის გაჩენის შემთხვევაში მისი სწრაფი ლიკვიდაციისათვის;

ბ) თვალყური ადევნოს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და საუწყებო-სახანძრო დაცვის აქტების მიხედვით ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებას მიაღწიოს მათ შესრულებას და შედეგები აცნობოს აქტის შემადგენელს.

გ) სისტემატიურად შეამოწმოს და მოსთხოვოს საწარმოს ხანძრის წყალმომარაგების, კავშირგაბმულობის საშუალებების, ტერიტორიაზე გასასვლელი გზებისა და საამქროებსა და წყალსაცავებთან მისასვლელების წესიერად შეხახვა;

დ) წესიერად შეინახოს როგორც საამქროებში არსებული ხანძრის-საწინააღმდეგო მოწყობილობა, ისე ის მოწყობილობა, რომლითაც შეიარაღებულია რაზმი და თვალყური ადევნოს მოქმედებისათვის მის მუდმივ მზადყოფნას;

ე) აწარმოოს სისტემატიური მუშაობა დასაცავ ობიექტებზე ხანძრის თავიდან აცილებისათვის და თვალყური ადევნოს სახანძრო უშიშროების წესებისა და ღონისძიებების შესრულებას;

ვ) დაამუშაოს და იცოდეს საწარმოოს ხანძრის საწინააღმდეგო თავდაცვის გეგმა და ცალკეულ საამქროების ხანძრის ქრობის გეგმები;

ზ) მუშებისა, ინჟენერ-ტექნიკოს მუშაკებსა და მოსამსახურეებს შორის აწარმოოს ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა პროპაგანდა საუბრების, ლექციების ჩატარებისა, კლუბებში სახანძრო კუთხეების მოწყობის და სხვ. გზით;

თ) შეასწავლოს საწარმოს მუშებს სახანძრო ტექნიკური მინიმუმი.

VI. მოხალისეთა სახანძრო რაზმის წევრთა მოვალეობანი.

20. რაზმის წევრები ვალდებული არიან:

ა) მტკიცედ იცოდენ თავისი უფლება-მოვალეობანი, მოხალისეთა სახანძრო რაზმის დებულება და ინსტრუქცია მის შესახებ;

ბ) შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობანი და რაზმის უფროსის განკარგულებები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გამოცხადდენ განგაშის სიგნალზე შეკრების ადგილას და მეცადინეობაზე დაწესებული განრიგით.

დ) თვალყური ადევნონ როგორც საწარმოში, ისე რაზმის შეიარაღებაზე მყოფი ხანძრის საწინააღმდეგო მოწყობილობის მთლიანად და წესიერ მდგომარეობაში შენახვას და ყველა შემჩნეული ნაკლოვანების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ საამქროს უფროსსა და რაზმის უფროსს;

ე) სამუშაო და არასამუშაო დროს იმორიგეონ საწარმოში მორიგეობის დაწესებული განრიგით;

ვ) თვალყური ადევნონ ხანძრის საწინააღმდეგო რეჟიმს წარმოებაში მუშაობის დროს და მიიღონ ზომები შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; აცნობონ ყველაფერი საამქროს უფროსსა და რაზმის უფროსს ან მათ შემცვლელ პირებს;

ზ) იცოდნენ სახანძრო ტექმინიმუმი და თავისი წარმოების ტექნოლოგიური პროცესის სახანძრო საშიშროება აგრეთვე საამქროში მუშაობის დროს სახანძრო უშიშროების ღონისძიებანი.

თ) აწარმოონ ხანძრის საწინააღმდეგო პროპაგანდა საწარმოოს მუშებს, ინჟენერ-ტექნიკოს მუშაკებსა და მოსამსახურეებს შორის, ხელი შეუწყონ საამქროში (თავის ცვლაში) ხანძრის საწინააღმდეგო პროფილაქტიკის უჯრედების ჩამოყალიბებას.

21. რაზმის არცერთ წევრს უფლება არა აქვს წავიდეს მორიგეობიდან, მეცადინეობიდან ან მიატოვოს თავისი პოზიცია ხანძარზე უშუალო უფროსის ნებადაურთველად.

VII. წახალისებისა და დასჯის წესი.

22. აქტიური მუშაობისათვის სწარმოებს მოხალისეთა სახანძრო რაზმის წევრთა წახალისება ხანძრის უფროსისა და საწარმოს ხელმძღვანელის წარდგენით: ა) სიგელებით; ბ) ფულით; გ) ფასიანი საჩუქრებით, ხანძრის თავიდან აცილებისა ან ხანძრის ლიკვიდაციაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის რაზმის წევრებს წარადგენენ დასაჯილდოვებლად: ა) სპეციალურად დაწესებული ნიშნებითა და ბ) საერთო სახელმწიფოებრივი ჯილდოებით.

23. მოხალისეთა სახანძრო რაზმში სამსახურისათვის, რაზმის წევრებს ყოველთვიურათ ეძლევათ ძირითად ხელფასის დამატებითი გასამრჯელო 20 მან. რაოდენობით.

24. დაკისრებული მოვალეობათა და რაზმის უფროსის განკარგულებათა შეუსრულებლობისათვის აგრეთვე რაზმში შინაგანაწესის დარღვევისა და სხვა დანაშაულისათვის მ. ს. რ. დამნაშავე წევრებს რაზმის უფროსის მიერ ედება შემდეგი სასჯელი: ა) საყვედურის გამოცხადება; ბ) გაფრთხილება რაზმიდან გარიცხვის შესახებ; გ) რაზმიდან გარიცხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბრძოლო მდგომარეობაში ხანძრის ქრობის დროს რაზმის უფროსის განკარგულებათა შეუსრულებლობისათვის დამნაშავენი მიეცემიან სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში.

VIII. რაზმის შენახვა.

25. რაზმის შესანახად ყველა ხარჯებს გაიღებს ის საწარმო, რომელშიაც ჩამოყალიბებულია რაზმი.

26. საწარმოს ხარჯზე რაზმს უნდა მიეცეს:

ა) სპეციალური ბინა მორიგეობისათვის და სახანძრო მოწყობილობის შესანახად, გათბობითა და განათებით;

ბ) სახანძრო მოწყობილობა, ინვენტარი და სხვა მასალა და ხელსაწყო, რომლებიც საჭიროა რაზმის ნორმალური მუშაობისათვის;

გ) საბრძოლო ტანსაცმელი ხანძრებზე და მეცადინეობაზე სამუშაოდ ბრეზენტის ქურთუკი, ბრეზენტის შარვალი, ფეხსაცმელი, მაშველი, ქამარი კარაბინით, ჩაჩქანი და ბრეზენტის ხელთათმანები.

27. მუშაობის დროს მომხდარი ხანძრის ქრობაზე დახარჯული დროისათვის რაზმელებს ენახებათ ხელფასი ძირითადი სამუშაოს მიხედვით.

28. თავის მოვალეობათა შესრულების დროს მომხდარი უბედური შემთხვევისაგან მ. ს. რ. წევრთა დაზღვევა ხდება საწარმოს ხარჯზე.

29. რაზმის უფროსი და რაზმის წევრები სარგებლობენ უფლებით პირველ რიგში მიიღონ ბინები საწარმოს იმ სახლებში, რომლებიც იქვე საწარმოსთან მდებარეობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროებითი დებულება

საქართველოს სსრ სასოფლო სექტორის დასახლებული პუნქტების და კოლმეურნეობების სახანძრო დაცვის შესახებ.

1. სასოფლო სექტორის დასახლებულ პუნქტებში და კოლმეურნეობებში სოციალისტური (სახელმწიფო და კოოპერატიულ-საკოლმეურნეო) საკუთრების და მოქალაქეთა პირადი ქონების ხანძრისაგან დაცვას ანხორციელებს ამ დასახლებული პუნქტების და კოლმეურნეობების ყველა შრომის უნარიანი მოქალაქე.

2. სახანძრო დაცვის ორგანიზაცია სასოფლო სექტორის დასახლებულ პუნქტებში და კოლმეურნეობებში ეკისრება რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებსა და სასოფლო საბჭოებს, რომლებიც ანხორციელებენ ამ მიზნისათვის მთელი შრომის უნარიანი მოსახლეობის მობილიზაციას და ორგანიზაციას, და კოლმეურნეობათა გამგეობებს, რომლებიც აწყობენ მოხალისეთა საკოლმეურნეო სახანძრო რაზმებს.

3. სასოფლო სექტორის დასახლებული პუნქტების სახანძრო დაცვის ორგანაზაციისა და განხორციელებისათვის თვალყურის დევნება, საკოლმეურნეო მსრ-ის ინსპექტირება და ინსტრუქტაჟის გაწევა — ეკისრება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებს.

4. სასოფლო სექტორის დასახლებული პუნქტების ყველა მოქალაქე ვალდებულია დაიცვას სახანძრო უშიშროების დადგენილი წესები საცხოვრებელ სახლებში და საკარმიდამო მეურნეობებში, საზოგადოებრივ სადგომებში, ტყეებში, აგრეთვე სამეურნეო სამუშაოთა წარმოების და მოსავლის აღების დროს, მონაწილეობა მიიღოს ხანძრების თავიდან აცილებაში და განუხრელად შეასრულოს ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებანი, რომლებზედაც მიუთითებენ სახანძრო დაცვის ორგანოები.

5. სასოფლო სექტორის დასახლებული პუნქტების ყველა შრომა უნარიანი მოქალაქე ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ხანძრებთან ბრძოლაში და თვითეულ ეზოში თვალსაჩინო, ზუსტად გარკვეულ ადგილას, ყოველთვის მზად იქონიოს ერთერთი შემდეგი სახის სახანძრო ინვენტარი: ვედრა, კასრი წყლით, ბარჯი, ცული, მისადგმელი კიბე და სხვ.

შენიშვნა: 1. თითოეული ეზოსათვის სახანძო ინვენტარს აწესებს სასოფლო საბჭო;

შენიშვნა: 2. ეზოსათვის დაწესებული სახანძრო ინვენტარის სახეზე ყოფნისა და წესიერად შენახვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ეზოს მფლობელს.

6. სასოფლო სექტორის დასახლებული პუნქტის რომელიმე მეურნეობაში ხანძრის გაჩენის დროს, ამ პუნქტში მცხოვრები თითოეული შრომისუნარიანი მოქალაქე ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს ხანძრის ადგილზე ეზოსათვის დაწესებული სახანძრო ინვენტარით და ხანძრის ქრობის ხელმძღვანელის მითითებით მონაწილეობა მიიღოს ხანძრის ქრობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. გარდა მე-5 მუხლში აღნიშნული სახანძრო ინვენტარისა, თითოეულ კოლმეურნეობას უნდა ჰქონდეს ხანძრის საწინააღმდეგო განსაზოგადოებული მოწყობილობა (ავტოტუმბოები, მოტოპომპები, ხელის ტუმბოები სვლებზე, ტუმბო-კასრიანი სვლები, კიბეები, სახელურები და მათი მოწყობილობა, ცეცხლმქრობები და სატეხი იარაღი) და მის შესანახად სპეციალურად მოწყობილი სახანძრო დეპო (სახანძრო ფარდული).

შენიშვნა: 1. თითოეული კოლმეურნეობისათვის საჭირო განსაზოგადოებული სახანძრო მოწყობილობის და ინვენტარის რაოდენობას აწესებს კოლმეურნეობის გამგეობა კოლმეურნეობის ოდენობის, მშენებლობის ხასიათის, წყალმომარაგების წყაროების არსებობისა და სხვა ადგილობრივ თავისებურებათა მიხედვით.

შენიშვნა: 2. კოლმეურნეობის გამგეობას განაცხადი სახანძრო მოწყობილობის და ინვენტარის საჭირო რაოდენობაზე სასოფლო საბჭოს საშუალებით დასამტკიცებლად გადაეცემა რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს.

შენიშვნა: 3. განსაზოგადოებული სახანძრო მოწყობილობის და ინვენტარის ძირითადი ნაწილი ინახება სახანძრო დეპოში (ფარდულში), ხოლო ნაწილი მაგალითად ცეცხლმქრობები, კასრები წყლით და ვედრები — ინახება თვალსაჩინოდ და ხანძრის მხრივ უფრო საშიშ ადგილებში (მარცვალსაცავი, კალო, კლუბი და სხვა).

8. განსაზოგადოებულ სახანძრო მოწყობილობის და ინვენტარის შეძენა და საკოლმეურნეო სახანძრო დეპოების (ფარდულების) მშენებლობა სწარმოებს ხანძრების თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის ღონისძიებათათვის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის სადაზღვევო გადასახდელების ანარიცხების ხარჯზე.

9. პასუხისმგებლობა კოლმეურნეობათა უზრუნველყოფისათვის განსაზოგადოებული სახანძრო ინვენტარით და მოწყობილობით და სახანძრო დეპოების (ფარდულების) დროზე მშენებლობისათვის ეკისრებათ სასოფლო საბჭოებსა და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს.

10. სახანძრო დეპოდან (ფარდულიდან) ხანძრის საწინააღმდეგო მოწყობილობის და ინვენტარის გასატანად ხანძარზე — დეპოში სწარმოებს საჭირო რაოდენობით ცხენების სადღეღამისო ჯერეული მორიგეობა.

მორიგე ცხენების რიცხვს მორიგეობის დროსა და რიგს აწესებს სასოფლო საბჭო.

11. სახანძრო დეპოში ხანძრის საწინააღმდეგო მოწყობილობაზე და ინვენტარზე მეთვალყურეობისათვის, ცხენების მოვლისა და განგაშის დროს სვლაში შებმისათვის, აგრეთვე ხალხისათვის ხანძრის შესატყობინებლად (განგაშის ატეხა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვალთვალო სამსახურის გასაწევად სახანძრო დეპოსთან (ფარდულთან) სწარმოებს ამ დასახლებული პუნქტის ყველა შრომის უნარიანი მოქალაქის (18 წლის ზევით) ჯერეული სადღეღამისო მორიგეობა.

მორიგეობა სწარმოებს განსაკუთრებული განრიგით, რომელსაც ადგენს სასოფლო საბჭო.

12. მოხალისეთა საკოლმეურნეო სახანძრო რაზმის ამოცანებს, ორგანიზაციას და სამსახურის წესს განსაზღვრავს დროებითი დებულება საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მოხალისეთა სახანძრო რაზმის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროებითი დებულება

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მოხალისეთა სახანძრო რაზმის შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი.

1. მოხალისეთა სახანძრო რაზმები წარმოადგენენ რა მშრომელი მასების საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანიზაციებს, ამოცანად ისახავენ მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას სოციალისტურ მშენებლობაში ხანძრებისაგან სოციალისტური (სახელმწიფო და კოოპერატიულ-საკოლმეურნეო) საკუთრების, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი ქონების დაცვის გზით.

2. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მათი დაცვისათვის ხანძრებისაგან ეწყობა მოხალისეთა სახანძრო რაზმები კოლმეურნეობათა წევრებისა და მოსამსახურეებისაგან; რაზმები ადმინისტრატიულ-სამეურნეო დარგში ექვემდებარებიან კოლმეურნეობათა გამგეობებს.

3. პასუხისმგებლობა კოლმეურნეობათა ხანძრის საწინააღმდეგო მდგომარეობისათვის, რაზმის მოწყობისა და სახანძრო რაზმის მომზადებისათვის, კოლმეურნეობაში სახანძრო მოწყობილობის ინვენტარის და დეპოს წესიერად შენახვისათვის ეკისრება კოლმეურნეობის გამგეობას.

4. მოხალისეთა საკოლმეურნეო სახანძრო რაზმისადმი უშუალო ხელმძღვანელობისათვის კოლმეურნეობის გამგეობა ნიშნავს რაზმის უფროსს, რომლის კანდიდატურას ათანხმებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებთან.

5. ნებაყოფლობითი რაზმის უფროსთა სახანძრო-ტექნიკური მომზადება ეკისრება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახანძრო დაცვის ორგანოებს სპეციალურ კურსებზე, რომლებიც ეწყობა სახდაზღვევის ანარიცხთა ხარჯზე თანახმად „ხანძრებისა და პირუტყვის სიკვდილიანობის თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის ღონისძიებათათვის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის სადაზღვევო გადასახადთა ანარიცხების შესახებ“ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 27 სეტემბრის დადგენილების მე-4 მუხლისა (სსრკ კან. კრ. № 50 მუხ. 407; 1937 წ. № 65, მუხ. 288).

6. საკოლმეურნეო მოხალისეთა სახანძრო რაზმის უფროსები რაზმთან მუშაობის, ჩაქრობისა და გამაფრთხილებელ ღონისძიებათა შესრულებისათვის თავისუფლდებიან კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებით, საკოლმეურნეო წარმოებაში მუშაობიდგან და მათ დაერიცხებათ შრომა დღეები კოლმეურნეობის ბრიგადირების თანასწორად.

7. რაზმის უფროსი ყოველმხრივ ემორჩილება კოლმეურნეობის გამგეობას.

II. მოხალისეთა სახანძრო რაზმის ამოცანები.

8. რაზმის ამოცანებს შეადგენს:

ა) ხანძრის საწინააღმდეგო — ტექნიკური გამოკვლევა ყველა საცხოვრებელი და არა საცხოვრებელი (არა საწარმოო) ნაგებობისა, ყველა შენობისა

და სხვა მეურნეობისა, რომელიც იმყოფება იმ ტერიტორიაზე, რომელსაც რაზმი უწევს მომსახურეობას;

ბ) თვალყურის დევნება ყველა ხანძრის საწინააღმდეგო წესებისა და ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა თავის დროზე შესრულებისათვის სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის აქტების მიხედვით;

გ) თვალყურის დევნება იმისათვის, რომ კოლმეურნეობა უზრუნველყოფილ იქნას ხანძრის ქრობის განსაზოგადოებული საშუალებებით, რომ ხანძრის საწინააღმდეგო ინვენტარი, წყლით მომარაგება კავშირგაბმულობის საშუალებები, მისასვლელი გზები წესიერ მდგომარეობაში იყოს და ზომების მიღება შემჩნეულ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ გამოსწორებისათვის;

დ) მოსახლეობაში ხანძრის საწინააღმდეგო პროპაგანდის ორგანიზაცია და ჩატარება. (მოხსენებები მოსახლეობაში, სახანძრო დაცვის ელემენტარული წესების ახსნა-განმარტება და სხვ.);

ე) ხანძრებისა და გაჩენილი ცეცხლის ქრობა იმ ტერიტორიაზე, რომელსაც რაზმი უწევს მომსახურეობას და მახლობელ სოფლებში და მათთვის აქტიური დახმარების აღმოჩენა სტიქიური უბედურებისა და კატასტროფების დროს (წყალდიდობა, ქარიშხალი, ზვავი და სხვა).

ვ) ორგანიზაცია და ჩატარება ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებებისა საჰაერო და ქიმიურ თავდაცვის პირობებში.

III. რაზმის ორგანიზაციის წესი.

9. მოხალისეთა საკოლმეურნეო სახანძრო რაზმებს აწყობენ კოლმეურნეობები თავისი გამგეობების გადაწყვეტილებით.

10. რაზმის რიცხობრივ შედგენილობას განსაზღვრავს კოლმეურეობის გამგეობა კოლმეურნეობის ძლიერებისა და მოსახლეობის მიხედვით.

11. მოხალისეთა სახანძრო რაზმის წევრად შეიძლება იყოს ყველა მოქალაქე, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა და ცხოვრობს კოლმეურნეობის ფარგლებში, რომელსაც ჩამორთმეული არა აქვს უფლებები და არა აქვს ფიზიკური ნაკლოვანებანი, რაც ხელს შეუშლიდა სახანძრო რაზმში მუშაობას.

12. რაზმის შედგენილობას და შემდგომ ცვლილებებს მის პირად შემადგენლობაში აქვეყნებს კოლმეურნეობის გამგეობა.

13. კოლმეურნეობის თავმჯდომარე მოვალეა კოლმეურნეობაში ჩამოყალიბებული ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმი გაატაროს რეგისტრაციაში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რაიონულ სახანძრო ინსპექციაში, ამასთან აღნიშნოს:

ა) რაზმის რიცხობრივი შემადგენლობა;

ბ) რაზმის უფროსის გვარი, სახელი და მამის სახელი და მისი სახანძრო მომზადება, თუ ასეთი აქვს;

გ) მეურნეობა, რომელიც გამოყოფილია სახანძრო რაზმისათვის, და რაზმის შეიარაღებისათვის არსებული ხანძრის საწინააღმდეგო მოწყობილობა და ინვენტარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. რაზმის სამსახურის ორგანიზაცია.

14. სახანძრო რაზმის ხანძრის საწინააღმდეგო მოწყობილობის მეთვალყურეობისათვის, სახანძრო (შეკაზმულობის) მომზადების, ცხენების მოვლისა და ხანძრის შემთხვევაში მოხალისეთა სახანძრო რაზმის წევრებისათვის შესატყობინებლად (კანგაშის ატეხა) აგრეთვე სახანძრო დეპოში (ფარდულში) სათვალთვალო სამსახურის საწარმოებლად წესდება ჯერეული სადღეღამისო მორიგეობა ყველა შრომის უნარიანი მოქალაქისა, ვისაც 18 წელი შეუსრულდა და რომელიც ცხოვრობს სახანძრო რაზმის მომსახურეობაში მყოფ ტერიტორიაზე, მორიგეობა წესდება განსაკუთრებული განრიგით, რომელსაც ადგენს სასოფლო საბჭო.

15. რაზმში მუშავდება საბრძოლო გაანგარიშება, რომლის შესაბამისად თითოეულ მოხალისეს ეკისრება განსაზღვრული მოვალეობანი ხანძარზე მუშაობის დარგში.

16. სარაიონო სახანძრო რაზმის ან რაისახანძრო ინსპექტორის მოსვლამდე ხანძრის ქრობას ხელმძღვანელობას უწევს რაზმის უფროსი.

17. რაზმელებთან სასწავლო მეცადინეობა სწარმოებს განრიგის მიხედვით, რომელსაც დაამტკიცებს კოლმეურნეობის გამგეობა, თანახმად სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახანძრო დაცვის მთავარი სამმართველოს მიერ 1938 წ. 24 ივნისს დამტკიცებულ სახელმძღვანელოსი მოხალისეთა სასოფლო სახანძრო რაზმის რიგითი შედგენილობის სპეციალურ მომზადების შესახებ.

რაზმის წევრთა მეცადინეობა სწარმოებს არა სამუშაო დროს, რომელსაც დააწესებს კოლმეურნეობის გამგეობა თვეში ორჯერ მაინც.

V. მოხალისეთა სახანძრო რაზმის უფროსის მოვალეობანი.

18. რაზმის უფროსი ვალდებულია:

ა) უხელმძღვანელოს ხანძრების ქრობას, რაზმისა და ხანძარზე სახანძრო ინვენტარით მოსულ მოქალაქეთა მუშაობას;

ბ) თვალყური ადევნოს განსაზოგადოებული და ეზოს სახანძრო მოწყობილობის და ინვეხტარის, სახანძრო დეპოს (ფარდულის) წესიერ შენახვას, სახანძრო დეპოში მოქალაქეთა წესიერ მორიგეობას და სასოფლო საბჭოს იმ დადგენილების შესრულებას, რომლითაც დაწესებულია დეპოში ცხენების მუდმივი მორიგეობა (აგრეთვე სასოფლო საბჭოს განრიგით);

გ) მე-17 მუხლში აღნიშნული განრიგის შესაბამისად აწარმოოს მეცადინეობა რაზმის წევრებთან;

დ) დაამუშაოს რაზმის საბრძოლო გაანგარიშება და მასში აღინიშნოს თითოეული მოხალისის მოვალეობა ხანძარზე მუშაობის დროს;

ე) აწარმოოს რაზმის მომსახურეობაში მყოფ ტერიტორიაზე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი სახლების ხანძრის საწინააღმდეგო ტექნიკური გამოკვლევა.

შენიშვნა: გამოკვლევა სწარმოებს წელიწადში სამჯერ მაინც: თბობის სეზონის დადგომის წინ, ზაფხულის სეზონის დადგომამდე და მოსავლის აღების წინ.

ხანძრის საწინააღმდეგო — ტექნიკური გამოკვლევა სწარმოებს თანახმად სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახანძრო დაცვის მთავარი სამმართველოს 1938 წ. 4 აგვისტოს ინსტრუქციისა „სასოფლო სექტორში პროფილაქტიური მუშაობის ჩატარების შესახებ“.

ვ) თვალყური ადევნოს ყველა ხანძრის საწინააღმდეგო წესებისა და სახელმწიფო სახანძრო ხედამხედველობის აქტების დროზე შესრულებას და მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ აცნობოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რაიონულ სახანძრო დაცვის ინსპექციას.

ზ) სისტემატიურად შეამოწმოს და კოლმეურნეობის გამგეობას მოსთხოვოს სახანძრო წყალმომარაგების, კავშირგაბმულობის საშუალებათა და გასასვლელი გზების წესიერად შენახვა.

თ) აწარმოოს მოსახლეობაში ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა პროპაგანდა, საუბრების, მოხსენებების, ადგილობრივ პრესაში წერილების დაბეჭდვის, კლუბებში სახანძრო კუთხეების მოწყობის გზით და სხვ.

ი) აწარმოოს რაზმის საქმის წარმოება და ბრძანებათა და განკარგულებათა წიგნი.

VI. მოხალისეთა სახანძრო რაზმის წევრთა მოვალეობანი.

19. რაზმის წევრები მოვალენი არიან:

ა) მტკიცედ იცოდნენ რაზმის უფლებანი და მოვალეობანი და დებულება რაზმის შესახებ.

ბ) შეასრულონ მათზე დაკისრებული ვალდებულებანი და რაზმის უფროსის განკარგულებები.

გ) განგაშის სიგნალით გამოცხადდენ შეკრების დანიშნულ ადგილზე და მეცადინეობაზე დაწესებული განრიგების მიხედვით.

დ) თვალყური ადევნონ განსაზოგადოებული და ეზოს იმ ხანძრის საწინააღმდეგო მოწყობილობისა და ინვენტარის მთლიანად და წესიერად შენახვას, რომელიც არსებობს რაზმის შეიარაღებაში და იმ ტერიტორიაზე, რომელსაც რაზმი უწევს მომსახურეობას; ყველა შემჩნეულ ნაკლოვანებებზე, დაუყოვნებლივ აცნობონ რაზმის უფროსს.

ე) თვალყური ადევნონ ხანძრის საწინააღმდეგო რეჟიმის დაცვას კოლმეურნეობაში მუშაობის დროს, მიიღონ ზომები შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის და ყველაფერი აცნობონ რაზმის უფროსს.

ვ) აწარმოონ ხანძრის საწინააღმდეგო პროპაგანდა მოსახლეობაში საერთოდ და იმ მშრომელთა შორის, რომლებთანაც ისინი მუშაობენ.

რაზმის არც ერთ წევრს არა აქვს უფლება წავიდეს საგუშაგოდან სწავლებიდან ან მიატოვოს პოზიცია ხანძაზე თავისი უფროსის ნებადაურთველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII. წახალისება და დასჯის წესი.

20. რაზმში აქტიური მუშაობისათვის რაზმის უფროსის წარდგენით სწარმოებს მისი წევრების წახალისება კოლმეურნეობის გამგეობის, სასოფლო საბჭოს, რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახანძრო დაცვის ორგანოების მიერ:

ა) სიგელებით; ბ) ფულით; გ) ფასიანი საჩუქრებით.

ხანძრის თავიდან აცილებისა ან ლიკვიდაციაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, რაზმის წევრებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საშუალებით წარადგენენ დასაჯილდოებლად: ა) სპეციალურად დაწესებული ნიშნებითა და ბ) საერთო სახელმწიფოებრივი ჯილდოებით.

21. საბრძოლო მდგომარეობაში ხანძრის ქრობის დროს, უფროსის განკარგულებათა შეუსრულებლობისათვის, დამნაშავენი მიცემული იქნებიან პასუხისგებაში.

VIII. რაზმის შენახვა.

22. ხარჯებს რაზმის შესანახად (საქმის წარმოება, დაზღვევა, მორიგე ცხენების კვება სახანძრო დეპოს და სახანძრო მოწყობილობის და ინვენტარის რემონტი) გაიღებს კოლმეურნეობის გამგეობა.

23. მორიგეობაზე დახარჯული დროისათვის რაზმის წევრებს კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებით დაერიცხებათ შრომადღეები კოლმეურნის საშუალო შემოსავლის რაოდენობით.

24. მოხალისეთა სახანძრო რაზმების წევრების დაზღვევას სამსახურის მოვალეობის შესრულების დროს სიკვდილისა ან დასახიჩრების შემთხვევისათვის, აწარმოებს კოლმეურნეობის გამგეობა კოლმეურნეობის ხარჯზე საქალაქო სახანძრო დაცვის მუშაკებთან თანასწორად.

ხანძრის ქრობის დროს სიკვდილის შემთხვევაში, დაღუპულის ოჯახის წევრებს სახდაზღვევის ანარიცხების ხარჯზე ეძლევათ ერთდროული დახმარება.

ხანძრის ქრობის დროს მიღებული ინვალიდობისათვის ერთდროული დახმარება ეძლევათ შრომის უნარის დაკარგვის შესაბამისად.

შენიშვნა: სიკვდილის ან ინვალიდობის შემთხვევისათვის ერთდროული დახმარების გაცემის წესს განსაზღვრავს სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სპეციალური ინსტრუქცია.

25. მორიგეობის დროს, ხანძრის ქრობისა და სახანძრო საქმეში მეცადინების დროს მუშაობისათვის რაზმის წევრებს ეძლევათ საბრძოლო სპეცტანსაცმელი. სპეცტანსაცმელი და დასაცავი მოწყობილობაც წარმოადგენს რაზმის საკუთრებას და სახანძრო რაზმიდან გამოსვლის დროს უნდა ჩაბარდეს რაზმის უფროსს.

რაზმის წევრთა მიზეზით საბრძოლო სპეცტანსაცმელის და მოწყობილობის დაზიანებისა ან დაკარგვისათვის რაზმის წევრები მატერიალურად აგებენ პასუხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ საცხოვრებელ სახლებში, საერთო საცხოვრებლებში და სხვა სახლთმფლობელობებში სახანძრო დაცვის ხელშემწყობი მოხალისეთა უჯრედების და სახანძრო დაცვის რწმუნებულთა შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი.

1. მშრომელთა ფართო მასების ჩასაბმელად ხანძრებისაგან სოციალისტურ საკუთრების და მოქალაქეთა პირადი ქონების დაცვის საქმეში თითოეულ საცხოვრებელ სახლში, საერთო საცხოვრებელში და სხვა სახლთმფლობელობაში, თუ იქ მუდმივად სცხოვრობს ან მუშაობს 30 ასაკოვანი მოქალაქე მაინც ამ დებულების საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს სახანძრო დაცვის ხელშემწყობი მოხალისეთა უჯრედები.

2. უჯრედების ამოცანას შეადგენს სახლის მოყვანა სანიმუშო ხანძრის საწინააღმდეგო მდგომარეობაში და დაუყოვნებლივ შეტყობინება ხანძრის შესახებ, მისი ქრობის უზრუნველყოფა სახანძრო რაზმის მოსვლამდე, ამ საქმეში სახლის ყველა მცხოვრების ჩაბმით, და ხანძრის საწინააღმდეგო უშიშროების წესების შესრულება.

3. საცხოვრებელ სახლებში, საერთო საცხოვრებლებში და სხვა სახლთმფლობელობებში, სადაც მუდმივი მაცხოვრებელ ან მომუშავე ასაკოვან მოქალაქეთა რიცხვი 30-ზე ნაკლებია, საერთო კრებაზე ირჩევენ სახანძრო დაცვის საზოგადოებრივ რწმუნებულს ამ სახლში მცხოვრებ ან მომუშავე მოქალაქეთაგან და მხოლოდ თავდაცვა-ავიაქიმის რაიონულ საბჭოს და საქალაქო სახანძრო დაცვის სპეციალური მითითებებით ეწყობა სახანძრო დაცვის ხელშემწყობი უჯრედები ცალკე სახლისა ან გვერდით მდებარე რამდენიმე სახლისათვის.

4. დიდ საცხოვრებელ სახლებში, სადაც მცხოვრებთა მნიშვნელოვანი რაოდენობაა შეიძლება სახანძრო დაცვის ხელშემწყობი რამდენიმე უჯრედის მოწყობა ადგილობრივ (რაიონულ) სახანძრო დაცვასთან და თავდაცვა ავიაქიმის რაიონულ საბჭოსთან შეთანხმებით.

5. სახანძრო დაცვის ხელშემწყობი მოხალისეთა უჯრედის ორგანიზაცია მცხოვრებლებს ეცნობებათ სახლის მმართველის, კომენდატის ან მფლობელის მიერ მოწვეულ კრებაზე.

6. ხელშემწყობი უჯრედის ორგანიზაცია ან სახანძრო დაცვის რწმუნებულთა არჩევა ხორციელდება შემდეგი წესით.

რაიონულ საბინაო სამმართველოს გამგე, საქალაქო სახანძრო რაზმის უფროსი და თავდაცვა ავიაქიმის რაიონულ საბჭოს თავმჯდომარე ამუშავებს ხანძრის საწინააღმდეგო დაცვის გეგმას, რომელსაც ამტკიცებს რაისაბჭოს პრეზიდიუმი და რომლის შესრულება ეკისრება სახლების მმართველებს, კომენდანტებს, მფლობელებს რაისაბინაო სამმართველოს გამგის ხელმძღვანელობით და საქალაქო სახანძრო რაზმის უფროსის კონტროლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს, რომელ სახლებში ხდება რწმუნებულების არჩევა და ხელშემწყობი უჯრედების შექმნა, უჯრედების რაოდენობა, ორგანიზაციის რიგითობა და მათი ხელმძღვანელობის წესი.

7. უჯრედების მომზადებისათვის (სწავლება, სპეციალურ კურსებზე, ლიტერატურის, სასწავლო ქონების შეძენა, დაჯილდოება), აგრეთვე ხანძრის საწინააღმდეგო ინვენტარის შეძენისა და საჭირო ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა ჩატარებისათვის საჭირო სახსრებს გაიღებენ სახლთმმართველობები.

II. უჯრედების მოვალეობანი.

8. სახანძრო დაცვის ხელშემწყობი მოხალისეთა უჯრედებისა და საზოგადოებრივ რწმუნებულთა მოვალეობაა:

ა) ყოველდღიურად თვალყური ადევნონ თუ როგორ ასრულებენ მცხოვრებლები ხანძრის საწინააღმდეგო წესებს და სახანძრო უშიშროების ღონისძიებებს მათ მიერ დაკავებულ ბინებში;

ბ) ყველა მობინადრეებს განუმარტონ თუ რამდენად მნიშვნელოვანია და საჭირო სახანძრო უშიშროების დაწესებულ ღონისძიებათა დაცვა სახლში და ბინებში.

გ) მუდმივი კავშირი დაამყარონ სახლის მმართველთან, კამენდანტთან და ადგილობრივ (რაიონულ) სახანძრო დაცვის უფროსთან და დროულად შეატყობინონ მათ სახანძრო უშიშროების ყველა შემჩნეული დარღვევების შესახებ;

დ) თვალყური ადევნონ სხვენებისა და ეზოების სისუფთავეს სამზარეულოს ფილაქურების, ღუმელების და საკვამურების გაწმენდას და დროზე შეკეთებას;

ე) თვალყური ადევნონ ელექტროგაყვანილობის და სხვა სახის განათების წესიერ მდგომარეობაში შენახვას;

ვ) თვალყური ადევნონ სახანძრო ონკანების და სახელურების, ცეცხლმქრობების და ხანძრის ქრობის სხვა ხელსაწყოების წესიერად შენახვას;

ზ) აქტიური დახმარება გაუწიონ სახლის მმართველებს, კომენდანტებს და რაიონის სახანძრო დაცვას რათა ამ სახლის მცხოვრებლები გაეცნონ ხანძრის ქრობის უმარტივეს ხელსაწყოებს და პირველი დახმარების აღმოჩენას ბინებში, სამზარეულოებში და სახლის სხვა ნაწილებში ცეცხლის გაჩენის (ხანძრის) დროს.

თ) აქტიური დახმარება გაუწიონ სახლების მმართველებს და კომენდანტებს მობინადრეებისათვის ხანძრის საწინააღმდეგო წესების გაცნობისა და მათ მიერ სახანძრო ტექმინიმუმის ათვისებაში.

ი) საჰაერო თავდაცვის პირობებში მონაწილეობა მიიღონ სახლის ხანძრისაგან დაცვის სახანძრო რგოლებისა და თვითდაცვის ჯგუფებში.

Тбилисский филиал — Библиотека ВКП (б)

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. სახანძრო დაცვის ხელშემწყობი უჯრედის წევრთა და საზოგადოებრივ რწმუნებულთა უფლებანი და მოვალეობანი.

9. უჯრედების წევრები და საზოგადოებრივი რწმუნებულები სახანძრო უშიშროების ყველა შემჩნეულ დეფექტებსა და იმ პირების შესახებ, რომლებიც სახანძრო უშიშროების ღონისძიებებს არღვევენ აცნობებენ სახლის მმართველს, კომენდანტს, ან ადგილობრივ (რაიონული) სახანძრო დაცვის უფროსს და მოითხოვენ სათანადო ღონისძიებათა მიღებას.

10. უჯრედის წევრები და რწმუნებულნი საცხოვრებელი ბინების გამოკვლევას აწარმოებენ ამ ბინის პასუხისმგებელი დამქირავებლის ან მობინადრეების დასწრებით.

11. ხანძრებისაგან სოციალისტური საკუთრების და მოქალაქეთა პირადი ქონების დაცვის დარგში აქტიური მუშაობისათვის, სახანძრო დაცვის ხელშემწყობი უჯრედების წევრები და საზოგადოებრივი რწმუნებულები შეიძლება დაჯილდოვებულ იქნან ფულით და ძვირფასი საჩუქრებით, აგრეთვე საერთო—სახელმწიფო ჯილდოებით დადგენილი წესის მიხედვით.

IV. სახანძრო დაცვის ხელშემწყობი მოხალისეთა უჯრედის ორგანიზაციული წყობილება.

12. სახანძრო დაცვის ხელშემწყობი უჯრედი ეწყობა, სახლში სადაც არის 5 კაცი მაინც, რომლებიც განაცხადებენ სურვილს გახდნენ უჯრედის წევრები.

13. მუშაობის ყოველდღიური ხელმძღვანელობისათვის უჯრედი თავისი წრიდან ირჩევს მდივანს.

14. მოხალისეთა სახანძრო უჯრედის ორგანიზაციისა, აგრეთვე სახანძრო დაცვის საზოგადოებრივი რწმუნებულთა არჩევის შესახებ სახლის მმართველი ან კომენდანტი სამი დღის ვადაში აცნობებს თავის რაიონის სახანძრო დაცვას.

15. სახანძრო დაცვის ხელშემწყობი მოხალისეთა უჯრედების ორგანიზაცია და საზოგადოებრივ რწმუნებულთა ამორჩევა ეკისრება სახლის მმართველს ან კომენდანტს.

16. აქტიური მუშაობის ჩასატარებლად სახანძრო დაცვის ხელშემწყობი უჯრედის მდივანი:

ა) ადგენს თითოეული კვარტალის სამუშაო გეგმას;

ბ) აწყობს უჯრედის პერიოდულ მეცადინეობას სახანძრო პროფილაქტიკის და სახანძრო უშიშროების წესებისა და ღონისძიებების შესწავლის საკითხებზე;

გ) ყოველმხრივ დახმარებას უწევს თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედების წევრების მიერ „იმსთ“ ნიშნისათვის ნორმების მომზადებისა და ჩაბარებაში.

დ) აქვს მუდმივი ცოცხალი კავშირი სახლის მმართველთან (კომენდანტთან) და ადგილობრივი (რაიონული) სახანძრო რაზმის უფროსთან, აცნობებს, მათ სახანძრო უშიშროებას მოთხოვნათა იმ დარღვევების შესახებ, რომელსაც იგი შეამჩნევს სახლში (საერთო საცხოვრებელში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. უჯრედის წევრთა საერთო კრებებს მდივანი მოიწვევს სამ თვეში ერთხელ მაინც.

18. უჯრედის საერთო კრება განიხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) უჯრედის სამუშაო გეგმის დამტკიცება,

ბ) წევრთა ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ;

გ) უჯრედის მდივნის არჩევა და გადარჩევა;

დ) იმ საკითხების განხილვა, რომლებიც დაკავშირებულია მათი მომსახურეობის სახლში სახანძრო-უშიშროების გაძლიერებასთან და სახანძრო პროფილაქტიური მუშაობის გაუმჯობესებასთან;

ე) უჯრედის წევრთა მიღება და დათხოვნა;

ვ) აქტიური მუშაობისათვის უჯრედის წევრთა წარდგენა ჯილდოებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ე ს ე ბ ი

ხანძრის საწინააღმდეგო უშიშროებისა საცხოვრებელ სახლებში, საერთო საცხოვრებლებში და სხვა სახლთმფლობელობებში.

1. ტელეფონის თითოეულ აპარატთან, აგრეთვე საერთო სარგებლობის ყველა ტელეფონთან გამოკიდებულ უნდა იქნას უახლოესი სახანძრო რაზმის ტელეფონის გარკვევით დაწერილი ნომრები, ხანძრის შემთხვევაში რაზმის გამოძახების მიზნით.

2. არსებული სახანძრო მოწყობილობა და ხანძრის საქრობი საშუალებანი (ცეცხლმქრობები, სახელურიანი სახანძრო ონკანები და სხვ.) ყოველთვის უნდა ინახებოდეს წესიერ და მოქმედებისათვის მუდმივი მზადყოფნის მდგომარეობაში.

3. სახლთსამმართველონი, რომელთა უბნების პირდაპირ მდებარეობენ სახანძრო წყალსადენი ჭები ან წყალმომარაგების სხვა წყაროები (ტბები, ჭები და სხვ.) ვალდებული არიან თვალყური ადევნონ თოვლისაგან, ყინულისაგან, ნაგვისა და მიწისაგან ჭების სახურავების გაწმენდას, წყლის წყაროებთან მისავალი გზების წესიერ მდგომარეობას, აგრეთვე იქონიონ და წესიერად შეინახონ სახანძრო ჭებისა და წყალსატევების მდებარეობის მაჩვენებლები.

4. აკრძალულია:

ა) გასავლელების ეზოებისა და შენობათა შორის მანძილის ამოვსება სხვადასხვა მასალით;

ბ) ადგილობრივი საბჭოების ნებადაურთველათ ისეთი სითხეების საწყობების მოწყობა, რომლებსაც ადვილად ეკადებათ ცეცხლი;

გ) ამოვსება სათადარიგო გასავლელისა და გარეგანი სახანძრო კიბეებისაკენ მისავალი გზებისა;

დ) ბინებში და კიბის ყაფაზებში არსებული სათადარიგო გასასვლელების დალურსმვა;

ე) საკანალიზაციო, წყალსადენი მილებისა და სათბობი მილების სარჩილავი ნათურებით გათბობა და სხვა ხერხებით ღია ცეცხლის გამოყენება შენობის ადვილად დასაწვავ ნაწილების იმ ადგილებში, სადაც ეს მილები მდებარეობენ.

ვ) თამბაქოს მოწევა, ღია ცეცხლით სარგებლობა სხვენში, არასაცხოვრებელ სარდაფში, ფარდულებში და საწვავი მასალის შენახვის ყველა ადგილებში; შესვლა ამ შენობებში თუ არ არსებობს ბუნებრივი განათება ან სპეციალურად მოწყობილი ელექტროგანათება, ნებადართულია მხოლოდ ელექტროფარნებით, „ღამურა“ ფარნებით ან შუშიანი სანთლის ფარნებით;

ზ) ადვილაალებადი სითხეების (ბენზინის, ეთერის და სხვ.) საწყობებში შესვლა ღია ცეცხლით, ელექტროფარნებით, „ღამურა“ ფარნებით, სანთლის ფარნებით.

5. საცხოვრებელ ბინებში აკრძალულია:

ა) კიბის ყაფაზებში და საერთო გასასვლელებში საკუჭნაოების მოწყობა და ყოველგვარი მასალასა და საგნების შენახვა, რომლებიც გავლას ხელს უშლიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ადვილაალებადი სითხეების შენახვა საერთო სარგებლობის კორიდორებში;

გ) ანთებული ღუმელის, პრიმუსებისა და ნავთქურების, ელექტროუთოებისა და ელექტროღუმელების უყურადღებოთ დატოვება, აგრეთვე მათი მიხდობა მცირეწლოვანი ბავშვებისათვის;

დ) საწვავის ჩასხმა და დამატება ლამპებსა, ნავთქურებსა და პრიმუსებში, როდესაც ისინი ცხელია ან გამთბარი, აგრეთვე ღია ცეცხლის გამოყენება განათებისათვის მათში საწვავის ჩასხმის დროს;

ე) ღუმელების, ფილაქურების დანთებისა და სამოვრების დადგმის დროს ადვილსაწვავი სითხეებით (ნავთი, ბენზინი, დენატურატი და სხვ.) სარგებლობა;

ვ) ჩაუქრობელი ნახშირისა და ცხელი ნაცრის დაყრა ხის შენობის ახლოს, აგრეთვე მათი შენახვა ადვილად დასაწვავ ან ძველ ჭურჭელში;

ზ) ღიად ან არამჭიდროდ დახურულად დატოვება გაზმაშუქი ონკანებისა და გაზგამტარი მილების ვენტილებისა;

თ) ელექტროგაყვანილობის დაკიდება ლურსმანებზე და ზედ შპალერის გაკვრა, კუსტარული (თვითნაკვეთი) დამცველი კორპების ხმარება, ელექტრონათურებზე ქაღალდის ან ქსოვილის შემოხვევა, ელექტროგაყვანილობის დაჭიმვა თოკით, მავთულით და სხვ. ტანსაცმლისა და სხვა საგნების დაკიდება ამომრთველებზე, შტეპსელებზე სხვა ელექტრო ხელსაწყობებზე; ელექტროუთოებით, ელექტროქურებით და ელექტრობით გასახურებელი ხელსაწყოებით სარგებლობა ცეცხლგამძლე ქვესაფენების უხმარებლად და მათი ამოურთველად დატოვება ხმარების შემდეგ;

ი) განათების ქსელში რადიოს და ელექტრობით გასახურებელი ხელსაწყოების ჩართვა სპეციალური გაყვანილობის მოუწყობლად და მასზე შტეპსელების გაუკეთებლად;

კ) ნავთის ლამპების, ფარნების და სხვ. მიმაგრება ხის ჭერზე ცუდად და ისე, რომ ლამპის შუშას ლითონის დამცველი ხუფი არ ჰქონდეს გაკეთებული.

6. ბინებში, რომლებსაც საკუჭნაოები არა აქვთ მობინადრეთა საერთო თანხმობით დერეფნები და კორიდორები შეიძლება გამოყენებულ იქნას საოჯახო ნივთების შესანახად იმ პირობით, რომ დატოვებულ იქნება თავისუფალი გასასვლელი.

7. საერთო საცხოვრებლებში შიგნით კიბეები და საერთო სარგებლობის კორიდორები ღამით განათებული უნდა იყოს.

8. სხვენში აკრძალულია:

ა) შენახვა საწვავი მასალისა, საოჯახო და რაიმე სხვა ნივთებისა, მოწყობა საკუჭნაოებისა, სამტრედეებისა, გარდა ფანჯრის საზამთრო ჩარჩოების შენახვისა, სარეცხის გაშრობისა და სპეციალური სამტრედეების მოწყობისა თავდაცვა-ავიაქიმის ხაზით; სხვენი სუფთად უნდა ინახებოდეს;

ბ) გადასახურის გასათბობად სხვენზე ნახერხის, ტორფისა და სხვა საწვავ მასალების დაყრა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) რადიოანტენების მიმაგრება საკვამურებზე;

დ) სხვენეზე სამერცხულების უფანჯაროდ და ღიად დატოვება, გარდა ჰაერის გაწმენდის შემთხვევისა;

ე) სხვენის კარის ღიად დატოვება, სხვენის კარი უნდა იკეტებოდეს და მისი გასაღები ინახებოდეს სახლმმართველობაში ან ამ სხვენის ქვეშ მყოფი ბინის პასუხისმგებელ დამქირავებელთან, სხვენის კარს უნდა ჰქონდეს წარწერა, რომელშიც აღნიშნული იქნება თუ ვისთან ინახება სხვენის გასაღები;

ვ) სხვენზე ცეცხლმაშორ კედლებში კარის ჭრილების ღიად დატოვება, კარის ეს ჭრილები, აგრეთვე სხვენიდან კიბის ყაფაზებზე, გასასვლელი ჭრილები დაცული უნდა იყოს ცეკხლგამძლე კარებით.

9. საქვაბე სადგომებში აკრძალულია:

ა) სათბობის (მაგარის და თხევადის) შენახვა დღეღამეში საჭიროზე მეტი რაოდენობით. გათბობის სეზონისათვის ნახშირისა და შეშის მარაგი ცალკე სადგომში უნდა ინახებოდეს;

ბ) საქვაბე დანადგარების მოვლისა და ზედამხედველობის მინდობა ისეთი პირებისათვის, რომლებსაც სათანადო კვალიფიკაცია არა აქვთ, აგრეთვე გახურების დროს საქვაბე სადგომების უმეთვალყურეოდ დატოვება;

გ) საქვაბე სადგომებში მომსახურე პერსონალისა და სხვა პირთა ცხოვრების დაშვება.

10. ნავთით გათბობის დროს ფრქვევანის (ფორსუნკის) ქვეშ დადგმული უნდა იყოს ტაფა ქვიშით. საქვაბე სადგომი სუფთად უნდა ინახებოდეს დაქცეული ნავთი იწმინდებოდეს, იმ ადგილებს, სადაც ნავთის პროდუქტები დაიღვრება, ეყრებოდეს ქვიშა.

ღუმელებიდან გამოღებულ ნაცარსა და წიდას უნდა დაესხას წყალი და გადაიყაროს ხანძრის მხრივ უშიშარ ადგილზე.

საქვაბეებში უნდა იყოს ცეცხლსაქრობი საშუალებანი: ქიმიური ცეცხლმქრობები, ყუთები მშრალი ქვიშით და ნიჩბები.

11. ინდივიდუალური სარგებლობის გარაჟებში აკრძალულია:

თამბაქოს მოწევა, გამოყენება გადასატანი სამჭედლო ქურებისა, სარჩილავი ნათურებისა, შემდუღებელი ხელსაწყოებისა და ღია ცეცხლით სარგებლობა.

დაღვრილი საწვავი უნდა აიწმინდოს და დაღვრის ადგილზე დაიყაროს ქვიშა. ნახმარი გასაწმენდი მასალა და საწვავი და საცხები მასალების დაცლილ ჭურჭელი გარაჟში არ უნდა რჩებოდეს.

გარაჟი მომარაგებულ უნდა იყოს ცეცხლმქრობებით, ქვიშიანი ყუთით და ნიჩბით.

12. სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მიერ წამოყენებული, აგრეთვე ადგილობრივი საბჭოებისა და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტის სავალდებულო დადგენილებით გათვალისწინებულ ხანძრის საწინააღმდეგო

ღონისძიებებს სახლების მობინადრეები, სახლების მმართველი და საერთო საცხოვრებლების კომენდანტები დროზე უნდა ასრულებდნენ.

13. ხანძრის გაჩენის შემთხვევაში საჭიროა:

დაუყოვნებლივ ეცნობოს ხანძრის შესახებ სახანძრო რაზმს ზუსტი მისამართის ხანძრის გაჩენის ადგილისა და იმ ტელეფონის ნომრის აღნიშვნით, საიდანაც გადმოცემულია ცნობა ხანძრის შესახებ და სახანძრო რაზმის მისვლამდე დაწყებულ უნდა იქნას გაჩენილი ხანძრის ჩაქრობა არსებული საშუალებით (ცეცხლმქრობები, წყალი, წიდა, ქვიშა და სხვ.).

14. სასტიკად აკრძალულია შენობებში სანათი გაზის სუნის გაჩენის შემთხვევაში ღია ცეცხლით შესვლა, თამბაქოს მოწევა და ასანთის ანთება ამ შემთხვევაში საჭიროა ფანჯრებისა და კარებების გაღება და შენობაში ჰაერის გაწმენდა.

გაზის სუნის გაჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სახლთ მმართველობას.

საკონდენსაციო წყლის დაგროვების გამო გაზსადენების გაყინვის დროს მილების გათბობა დასაშვებია მხოლოდ ცხელი წყლით.

15. ამ წესების შესრულებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახლების მმართველებს და საერთო საცხოვრებლების კომენდანტებს.

თითოეულ სახლში და თითოეულ სახლმმართველობაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკიდებულ უნდა იქნას საცხოვრებელ სახლებში, საერთო საცხოვრებლებში და სხვა სახლთმფლობელობებში სახანძრო უშიშროების შესახებ გამოცემული წესები.

4
РУСТ 33,35
Б,КС ИМЭЛ

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „კომუნისტის", პოლიგრაფიული კომბინატი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმ. № მ—497 შეკვ. № 905 ტირაჟი 2000